№ 11.—1914 წ. კვირა, 18 მაისი.

მის სიკვდილს ჰგლოვს „თეატრი და ცხოვრება“,
ვინც თეატრში დაგვანახვა ცხოვრება!..

✝ კოტე მესხი

გ ლ ო ვ ა

(კოტე მესხის ხსოვნას)

ვინც სამშობლოს საკურთხეველს გრძნობის ცრემლებს აპკურებდა,
აღმაფრენით მუსიკობდა, სიყვარულით მსახურებდა,
ვინც ზეციურ სიცილითა ხალხის გულსა ნათელს ჰფენდა
საიდუმლო სულის შვებით, სამოთხეში აღათრენდა,—

ნუთუ მოკვდა? ნუთუ იგი აღარა ჰყავს ქართულ სცენას?
მაშ გუნდრუკი ვინ უკმიოს მიწიერთა აღმაფრენას?
სიცოცხლისა სამსხვერპლოზე აწ ვინ დასწვას გრძნობა-გული,
რომ ჩვენს სულში აავეთქოს სიამე და სიყვარული.

მაგრამ არა! არ მომკვდარა მოციქული სიმართლისა,
ისევ თავზე დაგვციმციმებს სხივი, ციურ სინათლისა;
უკვდავია მისი სახე, უკვდავია მისი სული,
უკვდავია ზეცის მადლი, ერის სულში ჩასახული!

მაგრამ, გულო, შენ იტირე, აკვნესდი და აქვითინდი,
მოიფინე გლოვის ძაძა, მოიფინე სევდის ბინდი!
დე, დაიწვას სევდით სული, დე გადმოსკდეს ცრემლის ღვარი:
აღარა გვყავს ჩვენი კოტე, ჩვენი ძმა და მეგობარი!..

დ. ახელედიანისა

პოტე მესხის გარდაცვალების გამო

ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობამ დაადგინა: კ. მესხი დაკრძალოს წმ. ნინოს—კუკიის სასაფლაოზე ქართველ მსახიობთა სამარეთა შორის, განსვენებულის კუბო გვირგვინით შეამკოს და დაკრძალვის ხარჯიც იკისროს.

ვ. გუნიას მეთაურობით პროვინციაში გამგზავრებულმა დასმა წარმოდგენები შესწყვიტა და 16 მაისს თბილისს დაბრუნდა.

ალ. ბალ. შიხინოვმა ქართ. დრამ. საზ. გამგეობას გვირგვინის მაგიერ კ. მესხის სამარეზე დასადგმელ ძეგლის ფონდის შესაქმნელად 25 მან. გადასცა.

„თეატრი და ცხოვრების“ რედაქციამ დაადგინა: გვირგვინის ნაცვლად ღარიბ სოფლის ბიბლიოთეკას უგზავნოს ჟურნალი ერთის წლით წ. კ. ს. არჩევით.

ირ. ევდოშვილის საღამო 22-ისთვის გადაიდო.

მრავალი სამგლოვიარო დეპეშა მოვიდა.

რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“

მწუხარებით აუწყებს მკითხველებს უხუცეს ხელოვან-მსახიობის

კოტე მესხის

გარდაცვალებას.

გამოსვენება და დაკრძალვა დღეს.

თბილისის ქართული დრამატიული საზოგადოება მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას დამსახურებულ მსახიობის

კონსტანტინე სიმონის ძე მესხის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, კვირას, 18 მაისს, დილის $9^1/_2$ საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, მიცვალებულის ბინიდან (პრიუტის შესახვევი № 6). დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

თბილისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ

ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა

შესდგება ქ. თბილისს ქართულს თეატრში კვირას, მაისის 25-ს, 1914 წ., დღის 12 ს.

ყრილობაში მონაწილეობა გადამწყვეტი ხმით შეუძლიანთ:

1) ქართ. დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენლებ. 2) ქართ. დრამატ. წრეებისა და ჯგუფების წარმომადგენლებს. 3) მსახიობთა და სცენის მოყვარეთ. 4) სცენის მოდვაწეთ, რომელიაც-კი რამე დამსახურება მოუძღვით თეატრისადმი, ან რამე დამოკიდებულება აქვსთ მასთან. 5) მომხსენებელთ, რომელნაც რამე მოხსენებას წარმოადგენენ პროგრამაში აღნიშულ კითხვებზედ. 6) მუსიკოსთ, მოქანდაკეთ და მხატვართ. 7) დრამატურგებსა და მთარგმნელებს. 8) ბეჭდვით ორგანოთა წარმომადგენლებს. 9) დრამატიულ საზოგადოებათა წევრებს.

ყოველი წევრი იხდის: მსახიობნი და სცენის მოყვარენი—1 მან., დანარჩენნი—2 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ პირადათ და წერილობით თბილისის დრამატ. საზოგად. კონტორასთან არსებულს მიმღებ კომისიაში **მაისის 20-მდის.**

ამ დრომდისვე მიიღება ყველა მოხსენებანი.



№ 11

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში და იოსებ. იმედაშვილთან (,,**ხოროპანი**''-ს სტამბაში). მისამართი:

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба"
Іос. Имедашвили.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საპიროებისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 11 კვირა, 18 მაისი 1914 წ.

18 მაისი.

საზოგადოებრივ-ზნეობრივი უპასუხისმგებლობა.

,,ვინც რა უნდა სთქვას, წისქვილმა-კი ჰფქვას!'' — აი, რითი ხასიათდება ჩვენებურ ჯგუფთა თუ მესვეურთა უმეტესობის მრწამსი...

განა შეიძლება სხვაგან ისეთი თავგასულობა, საკუთარი სინიდისის მხილების მიყუჩება, საზოგადოებრივ-ზნეობრივი უპასუხისმგებლობა, როგორც ჩვენშია?!

რითი აიხსნება, თუ არა ასეთი უპასუხისმგებლობით ის ორონტრიალი, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელისა და სხვა მოღვაწეთა გარეშემო სწარმოებს?! ანუ ის მოვლენა, რომ საყოველთაოდ ცნობილი მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწედ აღიარებელი, მთელი საუკუნის სამშობლო მწერლობის უცხო ენაზე მიმოხილვის დროს, ჯგუფური თვალსაზრისით ხელმძღვანელობს, საკუთარ რწმენის მიმდევარ მწერალთ საქვეყნოდ ხოტბით ამკობს და იმავე დროს მათზე უფრო თვალსაჩინო მოღვაწეთ, ხოლო მოწინააღმდეგე ჯგუფის მიმდევართ, არც-კი იხსენიებს?!

ისე დავკნინდით, რომ საზოგადო, საყოველთაო — კერძოსაგან, სათავისოსაგან ვერ გაგვირჩევია, წარსული თუ მომავალი — აწმყო მდგომარეობისაგან და დასური ენინთ გატაცებულნი აღარფრის წინაშე არ ვიხევთ, ეროვნულ-კულტურულ წმიდათა-წმიდას არ ვინდობთ, ოღონდ მოწინააღმდეგე ბანაკის მწერალთ პირში ბურთი ჩავჩაროთ, ,,ხმა ჩავაკმედინოთ'', ოღონდ ბრბოს თვალში თავი ჩვენი უცოდველ პაპად, ხალხისთვის (ჰმ! ხალხისთვის! საბრალო ხალხო, რა ხშირად სარგებლობენ შენის გულუბრყვილო ნდობით) წამებულად დავსახოთ, სიმართლის ერთადერთ მოციქულად და ჩვენს გარეითად ყოველივე თუნდა მეწყერმა ზიდოს...

რითი აიხსნება, თუ არა საზოგადოებრივ დაკნინებით ის, უკაცრაული პასუხია, ლექციები და გამოსვლები, რომლებიც ჩვენში იკითხება და ჰხდება ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ!..

ბატონებო, ნუ თუ აღარავითარ მოკრძალებას, არავითარ პასუხისმგებლობას არა ჰგრძნობთ? ნუ თუ ისტორიის მსჯავრი ოდნავ მაინც არ გაფიქრებთ, რომ ლაში გაგიღიათ, საკუთარი მზაკვარი გულის ნადებნი საჯარო ბაზარზე გამოგიტანიათ და აღარავითარ სიწმინდის შელახვას არ ერიდებით?!

ასეთი უკუღმართობა, ქვენა გრძნობებით მოქმედება მხოლოდ ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში თუ შეიძლება...

სხვა ქვეყნების იდეურ-დასური ბრძოლა ჩვენში პირად მტრობა-დევნად შეიცვალა.

სხვა ქვეყნების მეცნიერული, დინჯი მუშაობა, ამა თუ იმ საგნის მხოლოდ ჭეშმარიტების თვალსაზრისით რკვევა — ჩვენში გაუთავებელ ლაყბობად, დასურ მიზანთა მისაღწევ საშუალებად და საკუთარ ჭორებით შეხამებულ ,,მწერლობად'' გარდიქმნა...

და ყოველივეს მაღალ იდეის, მეცნიერულ კრიტიკის, დემოკრატიის გათვითცნობიერების სახელით ხმარობენ...

თუ საქმე გაჭირდა, წინადვე გამზადებული რედაქციით საპროტესტო წერილები, ასჯერ და ათასჯერ დაღეჭილი უწმაწური სიტყვები, ლანძღვა-გინება, — აი საბუთი...

და ის კი დავიწყებიათ, ან არც კი გაუგონიათ, რომ მუშტით არაფერი დამტკიცდება, გარდა გონების უძლურებისა...

და ამ თავახსნილობამ ხომ უმაღლეს საფეხურსაც მიახწია 27 აპრილს ქუთაისის თეატრში.

ერთის მხრით ,,მეცნიერულ საბუთებით'' (მართლაც რომ მეცნიერული იქნება ჩვენისთანა უვიცთათვის) შეიარაღებული ,,ლექტორი'', მეორეს მხრით ბოლოკებით დარაზმული (ასე მოგვითხრობენ გაზეთები) მსმენელ-მაყურებელი...

ურთი-ერთის შესაფერია, განა!

ნუ თუ ერთხელ მაინც არ იგრძნობენ ჩვენებური, უკაცრაული პასუხია, ,,ლექტორები'', რომ ერის, განსაკუთრებით მოსწავლე-მკითხველი ახალგაზდობის საყვარელ-საიდეალო მოღვაწეთა გმობა მუდამ არ შერჩებათ?!

ახალგაზდობის გულის წყრომა, ქუთაისის თეატრში აღმონახეთქი, ჩვენ მხოლოდ დასურ გამოსვლად არ მიგვაჩნია,--იგი მაჩვენებელია ჩვენი ერის ცხოველმყოფელობისა და თვითმოქმედების გზაზე გამოსვლისა, საქებარია, მაგრამ იმავე დროს საგმობი, რომ აზროვნება-მსჯელობის (რაც უნდა იყოს,—კიდევ აზროვნება-მსჯელობის) წინააღმდეგ ასეთ საშუალებას მიმართეს... ეს კიდევ და კიდევ ჩვენს გონებრივ-საზოგადოებრივ უმწიფარობას ამტკიცებს...

მსგავსმა ლექტორებმა და მგზნებარე ახალგაზდობამაც კარგად უნდა იცოდეს, რომ მზისკენ ტალახის ამსვრელი თვითონვე გაითხუპნება!..

„გლახის ნაამბობის", ,,კაცია ადამიანის?!'', ,,კაკო ყაჩაღის'', ,,განდეგილის'', ,,სახრჩობელას'', ,,დედა და შვილის'', ,,გლახა ჭრიაშვილის'' და სხვა მსგავს ნაწარმოებთა შემქმნელის ზნეობრივ-საზოგადოებრივი მოკვლა ადვილი არაა, არც თუ შესაძლებელი.. დღეს ილია ჭავჭავაძე, როგორც პიროვნება, როგორც მებატონე, როგორც თავადშვილი, ბანკირ-ფინანსისტი, ანუ როგორც სხვადასხვა დაწესებულებათა მესვეური, აღარ არსებობს... იგი ჩვენთვის ცოცხალია და უკვდავიც იქნება, ვითარცა მეცხრამეტე საუკუნის ახალი ქართული მწიგნობრობის შემქმნელი, ჩვენი ცხოვრების ნოვატორი, ჩვენში დაწინაურებულ ერთა შესაფერი აზრების გამავრცელებელი, მშობელი ერის უდიდებულესი შვილი, ერის ქმუნვათა უტყუარი გამომქმელი და შესანიშნავი ხელოვან-მხატვარი... მისი მაღალ-აზროვანი და ხელოვნური ნაწარმოებნი ჯერ კიდევ დიდხანს ასაზრდოებენ ქართველ მკითხველს, ბევრს, ძლიერს ბევრს ჩაუნერგავენ უკეთილშობილეს აზრ-მისწრაფებათ და მაშ შორს თქვენი ტალახიანი ხელი, უწმაწურ გულის თქმებით აღბორგებულნო! დაე, თუ მართლა გიყვართ ქართველი ხალხი, იგი, ხალხი, უხვად დაეწაფოს ილიას მადლიან კალამის შექმნილს... თქვენ ღვარძლს აბნევთ, ქარსა სთესავთ ქართველს დემოკრატიაში და იცოდეთ ბოლოს იგი თქვენვე ქარიშხლად გარდაგექცევათ... ქართველი დემოკრატია მუდამ ყურმოჭრილ მონად არ დარჩება და ერთხელაც იქნება, თავის საკუთარ ფეხზე დადგება: ყველა ჩამძახველს აღარ დაუჯერებს..

ვისაც ილია ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობის გაცნობა ჰსურს, მან თვით ილიას ნაწერები უნდა შეისწავლოს; ვისაც ილიას დაფასება ჰსურს საჯაროდ, იგი აღჭურვილი უნდა იყოს საზოგადოებრივ-მეცნიერულ სწავლა-განათლებით, ღრმად გაწრთვილი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრებით, და ქართველ ჯგუფთა გარეშე მდგომარე...

ილიას ჰქონდა ნაკლიც, როგორც უკეთესართი დროის შვილს, მაგრამ მისი პიროვნული ნაკლი იფარება იმ ღვაწლით, რომელიც მწერლობით თუ სხვა მხრით სამშობლოს სამსხვერპლოზე მოუტანია...

დასასრულ იგი წამებით მოჰკლეს და ამ მხრითაც იგი მშობელმა ერმა, თუმცა იდუმლივ, მაინც გულის სიწმინდით სამშობლოსათვის წამებულთა შორის შერიცხა ისე, როგორც ქეთევან წამებული, დიდებული მამულიშვილი დიმიტრი ყიფიანი და სხ.

სამშობლოს გზადაბნეულ შვილთ არ იკმარეს მისი სხეულებრივი სიკვდილი, სულიერად განადგურებაც მოუწადინეს... მაგრამ აქ არ შეჩერდენ, და ახლა ქართველი ერის მთავარი ძალა—მოზარდი თაობა და მშრომელი ხალხი—მუშები, გლეხები, ნოქრები და სხ., „ქუჩის ბიჭებად'' მონათლული, ორ ბანაკად გაჰყვეს და ლამის ერთი მეორეს შეაჯახონ!..

ვითომ იდეისთვის?! —

არა და არა! მხოლოდ პირადი კინკლაობა-ჟინისთვის..

კმარა! მოსპეთ განგაში!.. თქვენს მზაკვრულ ქსელში ნუ ჰხვევთ მგზნებარე მოზარდ თაობასა და მუშა-მშრომელ ხალხს, ამ ჩვენი ქვეყნის იმედსა და სასოებას...

ჩვენი წინმსვლელობისათვის ფრიად დიდი, წასაბაძი გმირებია როგორც დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და ალ. ყაზბეგი, ისევე გიორგი წერეთელი და ეგ. ნინოშვილი, როგორც აკაკი, ნ. ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, ისევე ნ. ჟორდანია, ივ. გომართელი და სხვა მათ მსგავსნი, რომელთაც ხელი შეუწყეს მშობელი ერის წინსვლას...

ამიტომ ხშირად უზომოდ სცოდავენ, როდესაც ერთს ან მეორეს დასურ—ჯგუფურ მიზნით ამცირებენ, ანუ ვითომდა მეცნიერულად აკრიტიკებენ,—ვიმეორებთ ასეთი კრიტიკა, ყოველგვარ შემთხვევაში, არ შეუძლიანთ არც ერთ არსებულ დასთა წარმომადგენლებს...

ჩვენ გვწამს, მოზარდი თაობა, მუშა ხალხი და გლეხობა, უფრო ფხიზლად შეხედავენ ამ არა-საკადრის ბრძოლას და არ გაებმიან დემაგოგიურ მიზნით გაბმულ ქსელში...

დაე, მათ შეისწავლონ ყველა ნაშრომი ათვალწუნებულ მოღვაწეთა, საკუთარი გონებით განსაჯონ და ისე დასდონ მსჯავრი, ისე სწერონ საპროტესტო წერილები...

ცრუ მოძღვარნი, ეგრედ-წოდებული ,,მეცნიერული საბუთებით'' აღჭურვილი ,,ლექტორნი'', კიდევ მანამდე იპარპაშებენ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე, ვიდრე ჩვენი ბედკრული ქვეყანა ბნელით იქნება მოცული,—ახალგაზდობა უკუღმართი, არა ბუნებრივი გზით აღზრდილი და მუშა-მშრომელი ხალხი საზოგადოთ სწავლა-განათლებას და განსაკუთრებით მშობლიურ კულტურის განძთა შესწავლას მოკლებული...

დიდი ხანია რაც თვითსულმნათმა ილიამა სთქვა: ,,ჰნახავ ჩვენს ბედშაობას, ჩვენს ერთობას დარღვეულსო!'' სწორედ ამ ,,დარღვეულ ერთობის'' აღდგენა-გამთელებას უნდა ვსცდილობდეთ კულტურულის საშუალებით,—მადლიან წინაპრების ნაღვაწთა შესწავლით, თვისი თავის ამაღლებით, საზოგადოებრივ-ზნეობრივ განსპეტაკებით, ჩვენის ქვეყნის საკეთილდღეო საშუალებათა შემუშავებით საერთო ძალღონით.

კოტე მესხი

† კ. მესხი

(1859—1914)

ძაძა გადაეფარა სამშობლო სცენას, აღარა გყავს ნერონის ღვთიური შემომქმედი, ნაპოლეონის მადლმოსილი გამპიროვნელი, პეტრუჩიოს, ფიგაროს, მაჭარაშ ილის მგზნებარე გამსახიერებელი, ქართულ სახიობის ერთი პირველთაგანი მუშაკი...

გარდაიცვალა კოტე მესხი...

15 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე, ფილტვების ანთებით, მცირე ავადმყოფობის შემდეგ, საუკუნოდ დახუჭა მარად მოძრავი თვალები, შეაჩერა მრავალმეტყველი სახიერება და ბაგენი!..

კოტე შვილი იყო იმერეთში ცნობილ სიმონ მესხისა, რომლის ოჯახი ქართულ ლიტერატურისა და თეატრის კერად შეიქმნა: ამ ოჯახმა გამოზარდა ნეტარხსენებული სერგეი, ბათუმის დრამ. საზ-ის თავმჯდომარე ივანე, ცნობილი მთარგმნელ-მწიგნობარი დათიკო, დამსახურებული მსახიობქალი ეფემია და სხვა მათი და-ძმანი, ამა თუ იმ საზოგადო ასპარეზზე ღვაწლ-მოსულნი...

კოტე დაიბ. ქუთაისში 1859 წ. სწავლა გიმნაზიაში დაიწყო, შემდეგ თბილისის კლას. გიმნაზიაში გადმოვიდა, მაგრამ კურსი ვერ დაამთავრა. პირველად ქუთაისში მიიღო მონაწილეობა სცენის მოყვარეთა წარმოდგენაში ვ. აბაშიძესთან ერთად. თბილისში სამუდამო სცენა რო დაფუძნდა, დასში კოტეც მიიწვიეს კომიკურ და რეზონიერ როლების სათამაშოდ. 80-იან წლებში საზღვარ გარედ გაემგზავრა ორ გზის, სადაც (განსაკუთრებით პარიზში) ზედმიწევნით გაეცნო გამოჩენილ მსახიობთა, სცენას, სახიობას, ევროპიულ რეპერტუარს, იქიდან პიესები ჩამოიტანა, ზოგი თითონ გადათარგმნა, ზოგი დავ. ერისთავს გადმოათარგმნია, დაიწყო მათი დადგმა და ამ დროიდან დრამატიულ ამპლუის როლების თამაშს შეუდგა, თუმცა თვით ამპლუა არა სწამდა: „აქტიორმა ყველა როლი უნდა ითამაშოს... გუშინ სხვა იყავი და დღეს კი სხვა უნდა იყო, აი მაშინ გამოჩნდება შენი ნიჭი და უნარიო!" ასწავლიდა ახალგაზდა მსახიობთ და ამ მცნებას, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ასრულებდა: დღეს რო ნაპოლეონი იყო, ხვალ პეტრუჩიო, ზეგ

მაჭრაშვილი, მაზეგ ფიგარო, ნერონი და სხ.

სამაგალითო ოჯახში დაბადებული და „დროების“ წრის (ს. მესხის, ილიას, აკაკის, დ. ერისთავის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის) გავლენით აღზრდილი კოტე სიყრმიდანვე შეუდგა სამშობლო სცენასა და მწერლობის სამსახურს და სიკვდილამდე, თითქმის ორმოცი წელიწადი, მხნედ მუშაობდა როგორც მსახიობი, ანტრეპრენიორ-რეჟისორი, პიესების მთარგმნელ-გადმომკეთებელი და სხ.

1884 წ. ქუთაისში მუდმივი ქართული დასი შეადგინა და მით საძირკველი ჩაუყარა წესიერად წარმოდგენების მართვას (მანამდე-კი იქ კანტიკუნტად იმართებოდა), 1887 წ. ნ. გამრეკელთან ერთად საკუთარი თეატრი მოაწყო ქუთაისის შუაგულ ბაღში, მაგრამ ორი სეზონის შემდეგ დაეწვა და თვით თბილისს გადმოვიდა დასის მთავარ რეჟისორად.

მან გამოიყვანა სცენაზე თავისი და ეფემია, ნუცა ჩხეიძე და სხ.

ნათამაშევი აქვს სამასამდე როლი, გადმოკეთებულ-ნათარგმნი ოცამდე პიესა, დაწერილი — მრავალი საოხუნჯო ფელეტონი დღიურ ჭირვარამზე და სხ.

1906 წ. „პატარა გაზეთი“-ც გამოსცა; ამ გაზეთში დაბეჭდილ ერთი ლექსის გამო პასუხისგებაში მისცეს და გაზეთიც დაიხურა.

სწერდა იმერულ სცენებსაცა და მოხდენილადაც კითხულობდა.

იყო ენამახვილი, მოსწრებულ სიტყვა-პასუხიანი, კილოიანი მოსაუბრე. სიტყვა მისი, საზოგადოებრივ ნადიმ-ზეიმებზე წარმოთქმული, მუდამ მოკლე იყო, მაგრამ მრავალ მეტყველი. აი, მაგ. ალ. სუმბათაშვილს მოსკოვში იუბილეზე უთხრა: „შენ ულალატე სამშობლოს, მაგრამ ღალატი „ღალატითვე“ გამოისყიდეო!“ ასეთივე მოსწრებული სიტყვა უთხრა რუსეთის გამოჩენილ მსახიობქალს ერმოლოვისას, რომელმაც თავის დროს დიდი აღტაცება გამოიწვია, კ. ბალმონტს (იხ. დღევანდელ №-ში) და სხ.

მადლიერმა სამშობლომ 1910 წ. გაუმართა 30 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე, როგორც დედა-ქალაქში, ისე დაბა-ქალაქებში.

სრულიად მოულოდნელი იყო სიკვდილი მისი და ამას თვითონაც ხომ არ ივლებდა გულში: რამდენჯერ-ეს ვსთხოვეთ მოგონება დაეწერა, მაგრამ უარობდა — მართალია მასალა ბევრი მაქვს, მაგრამ რა გვიჭირებსო, ჯერ კიდევ დავიცადოთ და მერე დავიწყობო. უკანასკნელად დაიწყო „მეუფე ურიათა“-ს თარგმნა, ძლიერ ბეჯითად მუშაობდა, სულ სახარება ედვა წინ და მითი ხელმძღვანელობდა, ამ პიესის დადგმასაც დიდის ამბით აპირებდა, მაგრამ უწყალო სიკვდილმა სიცოცხლის ძაფი შეუწყვიტა...

ჯერ კიდევ კარგახანს შეეძლო სამშობლო სცენაზე სამსახური და მიტომაა მისი სიკვდილი დღეს ჩვენთვის გულსაწყლული... მის მაგიერობას ჯერ კიდევ დიდხანს ვერავინ შესძლებს...

და ვიდრე ქართული სახიობა იარსებებს, არც კოტეს სახელი წარიხოცება. ქართული თეატრის მოღვაწეთა გუნდში იგიც იბრწყინვებს..

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, სამშობლოს ნაამაგდარო შვილო, სცენის ღვაწლმოსულო ქურუმო კოტე!..

ი—ი

კ. მესხის უკანასკნელი საზეიმო სიტყვა

(კ. დ. ბალმონტის პატივსაცემ ნადიმზე წარმოთქმული)

დღეს გეგებებით დიდებულ მგოსანს რუსეთის ქვეყნისას!.. შენს დადგინდ თავს ჩვენ ვერ შეგმოსავთ ახალს გვირგვინით, მაგრამ ტკბილი სიმღერებით, გრძნობიერი სიტყვებით და სადღეგრძელოებით გარს შემოგესვეთ და ჩვენგან დღეს თავს ვეღარ იხსნით!

ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ მოსულხართ მგოსანთა ქვეყანაში, — თვითონაც სთქვით: ყველა გამოჩენილმა შგოსანმა საქართველოს ხოტბა შესთავაზო! აგრევე ნუ დაივიწყებთ, რომ მობრძანებულხართ დვიხის სამეფოში, — ჩვენში დვიხო ამდენია, რომ ქვეყნის დაარსებიდან ფსალმთ და ვერ დაგვიდეგია; და ბოდოს, თქვენ აპოჭეაგით თავი ულამაზეს ქალთა სამეფოში... მხოლოდ აქ კი წერტილი უნდა დავსვა... ქმრების მეშინია! მაშ ასე: თქვენ მოსულხართ სიმღერის მსმენთა, დვინის მსმელთა და ქალ-მოყვარულთა სამეფოში...

მაგრამ გეგეადრებით, თქვენი ქნარი მოჭმარეთ მხოლოდ ჩვენი რუსთაველის დვთიური ჭანგებისა და ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტ ლექსთათვის...

დაე, თქვენმა ეოგელ-ყამ მხიარულმა, მზესავით ნათელმა ქნარმა, დაე, თქვენმა ჭენიოსობამ, თქვენმა დვთიურმა ნიჭმა — დიდებული მგოსანი ბატარა საქართველოისა გაანცოს უზარ-მაზარ რუსეთს! წინდაწინვე დარწმენებული, რომ ოქვენი დროშის ქვეშ გავიმარჯვებთ, ხელთ ვიდგე თვალს და ვადვიარებ: თქვენი მშვენიერი და სახელოვანი სიტიტხლის დღენი გასკეტდნენ!..

კ. მესხი

ის. რაჟიშვილი
დატუსაღების გამო

ნოე ჟორდანია
აყადმეოფობის გამო

ქართული სცენის მოღვაწეთა ყრილობის საყურადღებოდ

—

როდესაც ჭიათურის თეატრის საქმე მოღონიერდა და ფრთა გაშალა, მის მუშაკთა შორის დაიბადა აზრი სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობის მოწვევისა. ჩემი და ჩემის ამხანაგების აზრით ამ ყრილობას უნდა დაეკავშირებინა სამშობლო სცენის მოღვაწენი საზოგადოდ, რათა მჭიდრო ორგანიზაციისა და შრომის განაწილების საშუალებით უფრო გაენაყოფიერებინათ თავისი მუშაობა. რამდენიმე წლის წინად თბ. დრ. საზოგ. გამგეობას დეპეშითა ვსთხოვეთ, როგორც მახსოვს, მოეწვია ასეთი ყრილობა. ახლა ეს აზრი ხორცს ისხავს და რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი სცენის გულშემატკივარნი ერთად შეიყრებიან. ეს მოვლენა ფრიად მნიშვნელოვანი იქნება არა მარტო ჩვენი თეატრისათვის, არამედ ჩვენი ერის ცხოვრების სხვა მხარეთათვისაც. ამიტომ სასურველია, ამ ყრილობამ მეტი უნარი გამოიჩინოს და მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს ეროვნული ხელოვნების აღორძინებას.

ყველა მიჰხვდება, რომ ყრილობის მოწვევა დღევანდელი საჭიროებაა, მოთხოვნილება. ჩვენში მრავლად აღმოცენებული სცენის მოყვარეთა წრენი, დრამატიულ, ფილარმონიული და სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოებანი უკვე გრძნობენ ორგანიზაციული თანამშრომლობის საჭიროებას და ყრილობას სიხარულით და სასოებით ეგებებიან. მართლაც ადვილი გასაგებია ეს მისწრაფება: საქმე გაიზარდა, გართულდა, დიდ უნარს, შრომას მოითხოვს და მისი გაძღოლა მეტად ძნელი შეიქმნა ცალკე დაწესებულებათათვის. საჭიროა შრომის განაწილება და კავშირი. აი რა უნდა განახორციელოს მომავალმა ყრილობამ. ის მრავალი კითხვები, რომელნიც შეეხებიან სათეატრო ხელოვნების თეორეტიულ მხარეს, შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი არიან აწინდელი ყრილობისათვის. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მტკიცე კავშირის, ორგანიზაციის შექმნას.

და მეც მხოლოდ ამ მხარეს მინდა შევეხო.

სასცენო საქმე თავის თავად მეტად რთულია. აქ თავს იყრის ყველა დარგი ხელოვნებისა: პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, სახიობა. თუ ეს დარგები მუყაითად არ თანამშრომლობენ სცენაზე, ისე ყოვლად შეუძლებელია სათეატრო საქმის წინ წაწევა. ჩვენი დრამატიული საზოგადოებანი და სცენის მოყვარეთა წრენი ყველანი ცალცალკე მოქმედებენ, ერთმანეთს ვერ ეხმარებიან და ამიტომ სუსტნი არიან; ამასთანავე მათ სცენაზე სამუშაოდ მხოლოდ ერთი ელემენტი გამოჰყავთ-სახელდობრ მსახიობი. ხელოვნების სხვა დარგებთან ახლოს არ დგანან და არც მუდმივი კავშირი აქვთ მათთან. აი თუ გნებავთ, ერთი მიზეზთაგანი იმისა, თუ რად კოჭლობს ჩვენი სცენა მუსიკის, მხატვრობის და პოეზიის ჭრით. ჩვენი დრამ. საზ-დოებანი ანტრეპრენიორობის უღელში შებულან და მთელ თავის ძალღონეს სეზონის გაძღოლას ანდომებენ. ამიტომ მათ საშუალება არა აქვთ შესაფერი ყურადღებით მოეპყრან ხელოვნების ამ დარგებს და მათ განვითარებას ხელი შეუწყონ. ასე თუ დარჩა საქმე, შორს ვერ წავალთ. ყოველი წელიწადი უფერულად, მხოლოდ მოგება-წაგების ანგარიშში გაივლის. მე საზოგადოდ წინააღმდეგი ვარ ამნაირი ანტრეპრენიორობის საზოგადოების მხრით. ეს საქმე უნდა იკისრონ მსახიობთა ამხანაგობებმა და სცენის მოყვარეთა წრეებმა. დრამატიული საზოგადოებანი კი ხელს უნდა უწყობდენ სცენის მუშაკთ: ლიტერატურით, ბინით, მოწყობილებით და სხ. ზოგიერთები კი მარწმუნებენ, ასეთი ანტრეპრენიორობა საჭიროა, რადგან უამისოდ დრამატიული საზოგადოება მოკვდე-

ბა, ცოცხალი საქმე აღარ ექნებაო. თუ ეს მართლა ასე იქნება, რაც მე არ მჯერა, დეე, ისევ ისე იყოს, განაგრძონ მათ სეზონების მართვა, ხოლო ამავე დროს შექმნან ისეთი დაწესებულება, რომელიც თავს მოუყრის სცენის ახლოს ხელოვნების ყველა წარმომადგენელთ და მუშაკთ და მით სასცენო ხელოვნების განვითარება, წინსვლა უზრუნველჰყონ.

ასეთ დაწესებულებად, ჩემის აზრით, უნდა იქმნეს ,,თეატრისა და ხელოვნების საზოგადოებათა კავშირი''*).

ამ კავშირის წევრებად იქნებიან: 1) დრამატიული საზოგადოებანი, 2) სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოებანი, 3) ფილარმონიული საზოგადოებანი, 4) მხატვართა საზოგადოებანი, 5) სცენის მუშაკთა პროფესიონალური კავშირები, 6) სცენის მოყვარეთა წრეები და სექციები.

ამრიგად აქ მოიყრიან თავს ჩვენში უკვე არსებული ხელოვნების მსახურნი საზოგადოებანი, რომელთაც მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირი აქვთ სცენასთან და სათეატრო საქმესთან. რამპასთან ხდება შეერთება, კოორდინაცია ყველა ამ დარგებისა და იქმნება მთლიანი, მხატვრული, ცოცხალი სახეები. ამნაირად, ყველა ამ დაწესებულებათა მუდმივი და ახლო თანამშრომლობით, შესაძლებელი გახდება ჩვენი ეროვნული თეატრის და ხელოვნების შესაფერ დონეზე დაყენება.

ამ კავშირის ფუნქციები ადვილი აღსანუსხავია. პირველ ყოვლისა იგი ის კვანძია, სადაც ყველა ზემოდ ჩამოთვლილი, დღეს ცალ-ცალკე არსებული, საზოგადოებანი ერთმანეთს ახლოს, გვერდში ამოუდგებიან. მაშასადამე ესენი ერთმანეთს ახლოს გაეცნობიან და გაიზიარებენ ურთი-ერთის აზრებსა და ნაშრომს. ამავე კავშირში მოიყრის თავს სხვა და სხვა გვარი საშუალებანი და ფონდები; მისი საშუალებით მოაწყობენ და გასწევენ საზოგადოებანი ურთიერთის დახმარებას, როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივად, რაიც ასე საჭიროა ჩვენთვის; კავშირმა უნდა იკისროს საერთო თეატრის და ხელოვნების პერიოდული ორგანოს გამოცემა, რომელიც გამოხატველი იქნება ამ კავშირის წევრთა სულის კვეთების, მათი მუშაობის და საზოგადოდ ჩვენი საერო ხელოვნების განვითარების. მანვე უნდა იზრუნოს სათეატრო ბიბლიოთეკის გამოცემისათვის, რაიც ასე აუცილებელია. ვინ არ იცის, თუ როგორ ფერხდება წარმოდგენების გამართვა პიესების უქონლობის გამო პროვინციაში! ეს წყლული მალამოს ითხოვს და კავშირის ვალია მოამზადოს იგი მალამო. ამასთანავე სხვა და სხვა გვარი კურსების მოწყობა თუ თეატრის საჭიროებისათვის, ლექციების და ექსკურსიების გამართვა, მუზეუმის და თავშესაფარის მოწყობა და სხვა.

როგორც ხედავთ, საქმე ბევრია, ძალიან ბევრი, თანაც მეტად საჭირო და საჩქარო. და ამ საქმეს დღემდის არავინ აკეთებდა! როცა ამ ნაკლს ვუკვირდები, ვფიქრობ: როგორღა სცხოვრობდა ჩვენი თეატრი და ხელოვნება მეთქი!?

ალბად ღმერთი გვწყალობს და ჩვენი ერი სიცოცხლის უნარით უხვად არის დაჯილდოვებული! იმედია, დიდი ნაკლი აწინდელი ყრილობისა მუყაითი მუშაობით შეივსება და საქმეც გამოკეთდება.

რაც შეეხება სცენის მუშაკთა პროფესიონალური კავშირის დაარსებას, ეს აუცილებელია. ყრილობამ ამისთვისაც უნდა იფიქროს და შესაფერი გზა უჩვენოს ჩვენი სცენის მუშაკთ. ჩვენი მსახიობნი და სცენის მსახურნი, იმედია, ადვილად მიხვდებიან ამნაირი კავშირის მნიშვნელობას და შეეცდებიან, რაც შეიძლება, ჩქარა მოაწყონ იგი, რომ შესაფერი წილი დაიდვან საერთო კავშირის მოწყობა-მუშაობაში.

დასასრულ სულით და გულით ვუსურვებ მომავალ ყრილობას გამარჯვებასა და ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ქვეყნის ხელოვნების ასაყვავებლად.

ის. ვარაზაშვილი

კ. ანდრონიკაშვილი
ჭიათურის რეჟისორი
22 მაისის ბენეფისის
გამო.

*) უფრო შესაფერ სახელს, მგონია, თვით ყრილობა გამონახავს.

საფრანგეთის თეატრის „ოდეონი“-ს გამოჩენილი რეჟისორი **ანტუანი**

ანტუანის დამარცხება

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

—

ანტუანი, დიდებული ანტუანი დამარცხდა, დამარცხდა ხანგრძლივი ომის შემდეგ...

ყოველმა არტისტმა იცის ვინ არის ანტუანი, ან რა ღვაწლი მიუძღვის არა მარტო საფრანგეთის თეატრის წინაშე, არამედ მთელ ევროპის თეატრის წინაშეც.

ყველამ ვიცით, რომ ანტუანმა დაარსა თავისუფალი თეატრი (le theatre libre) და მთელი ევროპა აალაპარაკა. არტისტებად, თავისუფალ თეატრისათვის, მიიწვია სხვა და სხვა სახელოსნოების მუშები და მათთან ერთად შექმნა theatre Antoine, რომელიც დიდხანს იყო სარკე და მაგალითი ყველა თეატრებისათვის.

ანტუანმა მთელი ქვეყანა აალაპარაკა თავის მართლაც დიად მიზანსცენით, ანტუანმა შექმნა რეალური თეატრი, ანტუანმა დასდგა პირველად იბსენის პიესები საფრანგეთში, ანტუანმა წასწია წინ მრავალი არტისტი, ანტუანმა დააყენა გზაზე მრავალი, დღეს გამოჩენილი, მწერლები: ფრანსუა დე კიურელ, ჰანრი ბერნშტეინი, რენე ქოშუა და სხვა. ანტუანმა აღადგინა მკვდარი საფრანგეთის მეორე თეატრი ოდეონი, რომლის დირექტორად იყო თითქმის ათი წელიწადი... და ეს ანტუანი დღეს დამარცხდა... ეს ანტუანი დღეს გაკოტრებულია ინტრიგების წყალობით.

თეატრი ოდეონი, მინამ ანტუანი დირექტორად დაინიშნებოდა, წარმოადგენდა ღატაკ, უბრალო თეატრს. ეს თეატრი ჩვენს თეატრზე უარესს მდგომარეობაში იყო. დეკორაციები ამათ არა ჰქონდათ, პიესები არა ჰქონდათ, არტისტები არა ჰყვანდათ. მოვიდა ანტუანი და თეატრმა შეიძინა დეკორაციებიც, პიესებიც და არტისტებიც.

მთავრობა აძლევდა ოდეონს სუბსიდიას 125,000 ფრანკს წელიწადში. ეს ფული ანტუანს თავის მიზნის მისაღწევად არა ჰყოფნიდა. ბევრი იბრძოლა დიდებულმა რეჟისორმა და მისი ბრძოლა დამარცხებით გათავდა.

წარსულ აპრილს ანტუანმა ოდეონს თავი დაანება, რადგან ამ სუბსიდიით ვერას გახდა და მთავრობას-კი მომატება არა ჰსურდა.

დაანება ოდეონს თავი თუ არა, აღმოჩნდენ მოვალენიც.

გამოირკვა (თვითონ ანტუანმა აღიარა), რომ გარდა სუბსიდიისა, ანტუანს ვალად დაედო 125,000 ფრანკი. მთავრობა ამ ფულზე უარს ეუბნება და ანტუანი იძულებულია თავის ჯიბიდან გადიხადოს.

მთელი პარიზი ლაპარაკობს ანტუანის საქმეზე. ბერნშტეინმა ვრცელი წერილი დასწერა გაზეთ „ჟურნალ“-ში, სადა აღნიშნავს ანტუანის ღვაწლს და ითხოვს მთავრობისაგან ამ ფულის გადახდას...

პირველ მაისს ანტუანმა კონფერენსი წაიკითხა სახალხო უნივერსიტეტში. კონფერენსზე მრავალი ხალხი დაესწრო. ანტუანმა დამსწრეთ უამბო თეატრ ოდეონის მდგომარეობა და თვისი თავგადასავალი დირექტორობის დროს. კონფერენსი გაათავა ამ სიტყვებით: „მართალია, ოდეონს მოვშორდი და ესეთ მდგომარეობაში ჩავვარდი, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ ვეძლევი. მოვკვდები ან თუ ოფიციალ ოდეონს არა, თავისუფალ ჩემს ოდეონს აღვადგენ“...

ბრავო და Vive Antoine-ის ძახილს ბოლო აღარ ჰქონდა. ჰ. ბერნშტეინმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც იწვევდა ახალგაზდობას მანიფესტაცია გაემართათ და მოეთხოვათ მინისტრისაგან, ანტუანისთვის ფული მიეცათ...

სტუდენტები გამოცვივდნენ ქუჩაში Vive Antoine-ის ყვირილით...

ვნახოთ მინისტრი რას იტყვის!..

კონფერენსს დაესწრო: ჰ. ბერნშტეინი, მინისტრი ბრიანი, მწერალი ბრიო და სხვა.

ყველამ ქება-დიდება უთხრა ანტუანს...

Vive Antoine!

George de Barry

კოტე მესხი სხვა

ნაპოლეონი

ნერონი

პაატა

კიდევ

(კ. მესხის ხსოვნას)

ერთი სიმი კიდევ გაწყდა
ხელოვნების გრძნეულ ქნარზე.
ერთი ცრემლი კვლავ დაგორდა
დედის ღაწვზე – ცრემლით მჭკნარზე!..

კიდევ კუბო, კიდევ თალხი,
კიდევ მოთქმა, ცრემლის ზვინი,
კიდევ ვარდი, ღიმ—შემჭკნარი,
კიდევ დაფნა და გვირგვინი,- -
საით მიაქვს სიკვდილის ხელს
და უაზრო ბედის წერას,—
ნუ თუ ამით დააყუჩებს
სასიცოცხლო გულის ძგერას?..

. . . . . .

თუმც კვლავ შესწყდა ერთი სიმი
ხელოვნების გრძნეულ ქნარსა—
მაგრამ მისი ძველი ხმები
კვლავ მოჰხიბლავს მთა და ბარსა!..

ს. ფაშალიშვილი

ჰიმნი

—

ვიშ, შენს ხილვას!—
რა ტურფა ხარ,
ჩემი ქვეყნის განთიადო!
აქათქათდი,
აღაჟღაჟდი,
გულ-წითელა ცისკრის ვარდო!

შენს ოქროვან თვალთა ციალს
ეგებება მთლად გარემო;
მზის მგოსანი ზართა წკრიალს
ლოცვად გწირავს, სატრფოვ ჩემო!

ვაშა, ვაშა განთიადო,
საოცნებო, სანავარდო;
გადაშალე
ეგ სიალე,
ცის კოკობო, დილის ვარდო!

დასხვა როლში

პეტრუჩიო

მაჭარაშვილი

ნაპოლეონი

ტბას რა ვკითხო...

ბუჩქის გვერდით ტბასთან ვიჯექ, სული ჩემი ჰნეტარებდა.
იქ ველოდი ჩემს დანიშნულს, ვინც ჩემს ბეჭედს ატარებდა.

და წყლის სარკემ დამანახვა სატრფო ჩემკენ მომავალი.
მის გვერდით-კი უცხო ვინმე აგზნებული, ვნებით მთვრალი.

თვით ისინი ვერ მამჩნევდნენ, ისე ვიყავ მყუდრო ადგილს,
მაგრამ მე-კი ნათლად ვსჭვრეტდი მათს გამომკრთალს წყლიდან აჩრდილ ს.

ვით სარკეში,—ჩემ წინ იდგნენ, ტრფიალებდნენ სულით, ხორცით.
დანიშნულმა მიღალატა და განშორდნენ შემდეგ კოცნით.

ერთხელ ვუთხარ: რა ჰქმენ-მეთქი?.. იწყო ცრემლვა, იწყო ფიცი.
იგი დღესაც ბევრს მარწმუნებს და არ ჰგონებს, თუ რამ ვიცი.

ტბას რა ვკითხო? რაც მიჩვენა, უკვე გაჰქრა მისი კვალი.
სატრფო მაინც არ მეშვება: უმანკოა, წმინდა ქალი!

—

ჩემის სულის ლექსებშიაც იხატება ზოგჯერ სახე.
ნეტამც მასშიც გაჰქრებოდეს ამ ცხოვრების სივაგლახე!

ს. მანთიაშვილი

მეუფე ურიათა

დრამა 4 მოქ. და 5 სურათად, მის იმპ. უმ. დ. მ. **კონსტანტინე კონსტანტინეს ძის**, თარ. **კ. მესხისა**

(დასაწყისი იხ. „თეატრი და ცხოვრება № 8—10)

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲘ

პროქ. დაღამდა კიდეც, ლაჟვარდ ფერ ცაზე
ბრწყინავს ვარსკლავი. პილატე მელის.
დროა წავიდე!.. ეს რა ხმა ისმის?
თითქოს გალობენ. სწორედ აქედან
მოისმის ხმები...

იოანნა. ეგ იესოა,
ბეთანიაში თავის მეგობარს
უნდა ეწვიოს. ლაზარე თვისი
ორისა დითა აქვე ცხოვრებენ!..
იმისი ბერ ქვეშ მოძღვარს მზათა აქვს
ყოველთვის ბინა. იესოს დედაც
ამ ჟამ იქ არის და ელის თვის ძეს!
დიაღ, იესოა და თორმეტი
მისი მოწაფე. დავითის ფსალმუნს
გალობენ!..

პროქ. აბა! ჩქარა მონანო!..
გავსწიოთ ჩქარა. ოჰ კიდევ ერთხელ.
ნეტავ მეღირსოს იმისი ხილვა?!
(მონებს ბროქულოსი და იოანნა გაჰ-
ყვნენ. სცენა რამდენიმე წუთით ცარიელია).

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ

(მარცხნით შემოდის ბართოლომეოსი. გა-
ლობა მადლა მოისმის*)

ბართ. ძლიეს, ძლივს უფალო! კიდევ გიხილავ!
თუნდაც სიბნელე გარს მოგვეფინოს.
და მოსპოს ხედვა ჩემის თვალთაგან.
შენ მაინც ბრწყინავ, დიდო მოძღვარო.
დაუშრეტელის ბრწყინვალებითა.
როგორც თვალებით, ისრე სულითაც
ვიყავი მე ბრმა და სასწაული
შენ მომავლინე!! შენ მომასმინე
წმიდა სიტყვანი... გულში ნათელი
შენ ჩამიშუქე!! ოჰ! მოვედ, მოვედ
მესია დიდო, დავითისა ძევ!!
(დაიჩოქებს და ადაპურობს ხელებს,
ახლოს, კალაგანთან გალობა მოისმის.
ფარდის ჩამოშვების შემდეგ).

ᲤᲐᲠᲓᲐ ᲜᲔᲚᲐ ᲓᲐᲔᲨᲕᲔᲑᲐ

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

პილატეს სახლში. დიდი იროდეს სასახლის პერისტილი. ორი კედელი სცენის სიღრმეში უერთდებიან ერთი მეორეს. მარჯვენა მხარეზე ორი კარია. პირველი ახლო მაყურებელთან, შედის სამსჯავრო განყოფილებაში და დახურულია მეთორმეტე გამოსვლამდე. მეორე კარები პილატეს შინა ოთახებში მარცხნივა კედელში. შუაზე ფარდიანი კარი, სასახლიდამ გასასვლელი. მარჯვენა მხარეზე ორ კარ-შუა საუჯრემ და შიგ ქანდაკებანი. კედლების წინ და გასწვრივ ქვის სვეტებია (კოლონადა), რომლებზედაც სახურავია კედლისა და კოლონადას შორის ადგილისა. ეს ადგილი ამაღლებულია სცენაზე ოთხის საფეხურის სიმაღლეზე. სამივე კარებში შეიძლება გასვლა მხოლოდ ოთხ-საფეხურთან მარმარილოს კიბეებით. შუაზე მოზაიკურ იატაკზე ამოყვანილი შადრევანი. სინათლე ჩამოდის ბერიდან, ეს სინათლის სარკმელი თხელი ფარდით აფარდულია. მდიდრული მორთულობა; არდაგანები, მაგიდები, სავარძლები. ქანდაკება მარმარილოსი, ბრინჯაოსი ვაზები ყვავილებით, საკმეველები, სანათეები, ხალები, ძვირფასი ფარჩა. გათენების ბინდია.

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲓᲘᲐ ᲖᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲝᲯᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲝᲥᲡᲐ ᲡᲬᲛᲔᲜᲚᲘ.
ᲨᲔᲛᲝᲠᲑᲘᲡ ᲐᲓᲔᲥᲡᲜᲓᲠᲔ, ᲐᲓᲔᲚᲕᲔᲣᲜᲓᲐ.

---

*) გალობა იესოს მოწაფეთა:
„ღმერთო! მეუფევ სიცოცხლისაო,
ისმინე ჩემი ლოცვა გულ-წრფელი!..
ამყვავებელო, ცხოვრებისაო,
მომიკალ სევდა სულის დამწველი!..
შვებისა დღენი შორს განმეშორა,
ვიტანჯოდი და ვიტანჯვი ახლა:
სიკვდილის ხელი მეთანასწორა
და ჯოჯოხეთი გულს მოეახლა!..
ვიქმენ ვით კაცი შეუწევნელი,
სხვებთან ჩამტყორცნე ხარო-მღვიმეში.
თვით ბედი ჩემი მექმნა მდევნელი
და სძინავთ ჩემთ წყლულთ ვით სამარეში!..
ჰოი, უფალო! დამხსენ ქვესკნელსა!
დამხსენ აჩრდილსა ჩემსა მდევნელსა!
თვალ-ნათელ დღეში ნუ მიმცემ ბნელსა!
ნუ განმარიდებ მეგობრის ხელსა...
მე ბლახაკი ვარ უსახლ-უკარო,
მავედრებელი, მუხლ-მოდრეკილი;
გთხოვ შენი კალთა გადამფარო
და განმიკითხო მე შეცდომილი!..“

თარგ. **ბ. ახოსპირელისა**

ალექ. ო! ჩემო ოვალის სინათლევ ლია!!

ლია (შიშით) სუ! ალექსანდრე. ფრთხილად იყავი!

ალექ. არავინ არის! ძვირფასო ლია,
აღელვებისგან თვალი მთელს ღამეს
არ დამიხუჭავს! ჩვენ სიყვარულსა
რაღაც აფერხებს, თითქოს ხელს უშლის!

ლია. ჩემო სულის-დგმავ! შიშის ზარს მგვრიან
შენი სიტყვები, რაშია საქმე?
მიამბე ჩქარა!

ალექ. გეთსიმანეთის
ბაღში ჩვენ გუშინ, შენ კარგათ გახსოვს,
ვით შეგვაშინეს, მაშინ სხვა ადგილს
შენ პაემანი ჩვენი დანიშნე.
იქეთ გასწიე! მეც შორი-ახლოს
შეუმჩნეველად მოგდევდი მარად!
უეცრივ წინ ბრბო გადამეღობა...
ვიცან ისინი ჩირაღდანთ შუქზე.
იყვნენ მსახურნი დიდ მღვდელმთავრისა!
ვერ შევამჩნიე, ვინც მათ მოჰყავდენ,
მაგრამ მე ვიცან რომის მხედარნი.—
როს მთვარის შუქი იმათ ჯავშანზე
ეფინებოდა; ხელში კომბლებით,
ზოგიც დაშნებით მიიჩქაროდენ!
ოჰ, ლია, ლია? რაისთვის დაგმე
იოსაფატის ვაკე ადგილნი,
ანუ რაისთვის ქედრონის ხიდთან
არ დამიცადე?!

ლია. გელოდდი იქა,
მაგრამ მომესმა ბრბოს ბობოქრება,
შეშინებული იქაურობას
მოესხლტი იმიტ წამს! ოჰ ალექსანდრე
რა უნდათ ჩვენგან, რათ არ გვაცდიან
დავსტკბეთ შეხვედრით ერთმანეთისა?

ალექ. სუ! ჩემო ლია... მგონია სძინავთ.

ლია. ვერ დავივიწყებ წუხანდელ ღამეს!
მთვარისა შუქი, ზეთის ხილისა
ბურვილი ჩრდილი, ბულბულთა სტვენა.
შენთან პირველჯერ სიყვარულზე სჯა.
ასე მგონია სიზმარიაო!
(ამათ შეუმჩნეველად, იოანნა გამოდის
მესამე კარებიდან).
მაგრამ სრულიად ბედნიერება
კაცს არ ეწვევა! ოჰ, რომ შეგვეძლოს
მოძღვარს გავუტყდეთ?! ის კეთილია,
მწყალობელია, ალერსიანი...
ჩვენთვისაცა რომ იმან ილოცოს...
და საქორწინო ჩვენი კავშირი
აკურთხოს.

ალექ. მაგრამ, ძვირფასო ლია!..
ვით დაივიწყე, რომ ქორწინების
არ აქვთ უფლება მონებს და მხევლებს!
ამ მონობაში შენა ხარ შვება,
და ერთად-ერთი ჩემი ნუგეში!
მადლობელი ვარ წუხანდელ ღამის,
როს გაზაფხულის პირველმა სიომ,
ნაზად მოგვბერა ტკბილი სიტყვები
სიყვარულისა და უნებლიეთ
შიში დავსთრგუნე და აღსარება
შენ მოგახსენე?! არ განმაძევე.
არა მკარ ხელი... ჩემო ღვთაებავ,
იერიქოს ბზავ, ენგადის ვარდო!!

ლია. სულზე უტკბესო. სარონის ბაღის
ყვავილთა მეფეე... სწორ-უპოვარო,
ლიბანის ნაძვო!!

გამოსვლა მეორე

იოანნა (მოახლოვდება) მშვიდობა თქვენდა...
ჩემო კარგებო!.. (შიშით წამოხტებიან. თენდება)
იმედით ტკბებით.
და სიყვარულმა, ვითა მბწყინავ მზემ,
ხედვა მოგისპოთ და გადაგრტყოცნათ
უცნობ ქვეყანას... ოცნების მხარეს!
(შენიშნავს დოქს და ათვალიერებს)
რა სიტურფეა... აი სადა სჩანს
ღვთიური ხელი ხელოვანისა!
თუმცა კერპთ-თაყვანის მცემელისა
აქ სახე არის.. მაინც მშვენიერს
ვეტყვით ჩვენ იმას! გამოსახულა
აქ ძველი მითი!.. ეს ტრფიალია
ფრთოსანი ამურ, შეყვარებული!
ესეც პსიქეა, უკვდავი სულით!..
მე კი რომ მკითხოთ ასე ვიტყოდი.
ალექსანდრეა და ლია ერთად
აქ დახატული... ჩემო კეთილნო!..
მესმა ამბავი თქვენი უმანკო
სიყვარულისა! ეს საიდუმლო,
თუმც უნებურად, მაინც მოგტაცეთ!
სამაგიეროთ პროქულოსის ვსთხოვ
თავისუფლება პილატემ მოგცეთ!!

ალექ. ოჰ, ღმერთს შეევედრი შენს დღეგრძელება

ლია. უზენაესი ათას-წილ გიზღავს!
ამ სიკეთისთვის!..

იოანნა. ჩემთ მოძმეთათვის
ვიურვი მწარედ... ბნელს მონობაში
ისრაილთ ძენი წყალობენ ულვთოდ
და კერპთ-მსახურთა მძიმე უღლ ის ქვეშ
პირუტყვთ-მზგავს სახე მათ მიუღიათ.
მაგრამ თვის სახლში ადიმიანი
ხომ უნდა იყოს თავისუფალი?
თქვენ-კი ამასაც მოკლებული ხართ!

(შემდეგი იქნება)

სომეხთა კულტურული დღესასწაული



საიათნოვას ძეგლი

ხუთშაბათს, 15 მაისს, სომხურ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების თაოსნობით თბილისში თათრის მოედანზე, სურფ-გეურქის ეკლესიის გალავანში აკურთხეს აშულის — სახალხო მოლექსე-მომღერალის საიათნოვას ძეგლი.

ძეგლის კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო, იყვნენ თბილისის ხელოსანთა ჰამქრები, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, — ქართველთაგან დრამატიულ საზოგადოებისა, ჩვენი რედაქციისა და სხ.

ბევრი შინაარსიანი სიტყვა ითქვა.

(დაწვრილებით შემდეგ ნომერში)

სიყვარული

გიჟმაჟი იყო სიყვარული.

ისე, ვით ტალღა ზღვისა, მოგორებული კლდოვან ნაპირას, გიჟმაჟი ვით ნიავი დილის ჟამისა.

გიჟმაჟი იყო, დიაღ გიჟმაჟი, მაგრამ ოცნებით გარე მოცული.

ერთხელ, მახსოვს, დილის ჟამისას ზეფირის ლაღ ფრთებით ჩამომიქროლა, გამომიცქრიალდა წინ და მოციალე თვალებით ჩამომაშტერდა, რამდენი ალმგზნები ცეცხლი ციალებდა მაშინ იმ თვალებში, ბჭყვრიალებდა ისე, ვით კაცთ თვალთაგან უხილავი მარგალიტი ზღვისა ფსკერისა.

სიყვარულის ბურუსში მხვევდა, მავიწყებდა ჩემს არსებობას... და ამავ დროს ცელქი ნიავი, ნაზი ალერსით, თავს დაგვფარფატებდა, ყელს თვის ფრთებს გვხვედა, გვესიასამურებოდა.

ტკბილი იყო ის სიყვარული, ტკბილი იყო თვით ნიავიც-კი...

გიჟმაჟი იყო, ფურჩქნებოდა, ახლად ჰყვავოდა, ახლად გვაძლევდა სულ სხვა გვარ გრძნობებს.

თვით ამურიც კი, ცელქი ღმერთი სიყვარულისა, გვესროდა ისრებს, მახვილ ისრებს სიყვარულის ნექტარში ამოვლებულთ, შორით გვჰვრეტდა, შორით გვიღიმოდა...

გიჟმაჟი იყო სიყვარული, გიჟმაჟი მაგრამ ტკბილი კი.

ახლა კი გაჰქრა, დრომ წარიტანა სიყვარული.

გაჰქრა მასთანვე ბედნიერება.

გაჰქრა სიყვარული, გიჟმაჟი, ცელქი; მის მაგივრად ხელთღა დამრჩა დამჭკნარი ვარდი..

აღარ მეწვია მსუბუქ ფრთებ-შესხმული; თვით ამურმაც დაიშურა ნექტარში ამოვლებული ისრები.

გაჰქრა ისე, ვით მოჩვენება.

გიჰმაჟი იყო და გაიარა ისე გიჟმაჟად.

ახლა მხოლოდ ხელთ დამრჩა დამჭკნარი ვარდი, ვარდი დამჭკნარი...

ნ. კეცხოველი

მსახიობი ვიქტორ მატარაძე
(ავადმყოფობის გამო)

დავეხმაროთ!

(ვ. მატარაძის ავადმყოფობის გამო).

რა სავალალოა, როდესაც ჰკითხულობ ქართულ-რუსულ გაზეთებში ქართული სცენის მსახიობის ვ. მატარაძის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ და ამავე დროს არსაიდან შველა — თანაგრძნობის ხმა არ გესმის.

ვ. მატარაძე თითქმის ათი წელიწადი ემსახურებოდა ქართულ სცენას, დღეს-კი მძიმე ავადმყოფობის გამო ჩამოშორებულია სამშობლო სცენას. იგი მსხვერპლია შიოევისეულ სახლის ჩამონგრევისა და ქალაქის თვითმართველობა, მიუხედავად თავისივე გარდაწყვეტილებისა, უგვიანებს ყოვლად გაჭირვებულ ადამიანს ფულს (სჭვებს კი მისცა). ასეთმა უყურადღებობამ კი ლოგინად ჩააგდო ამ ერთ წლის წანად ენერგიით, სიცოცხლით სავსე, უზრუნველყოფილი ადამიანი.

მთელი წელიწადი ავადმყოფობა, ექიმობა, წამლობა, ოჯახის შენახვა,—ყველა ეს ითხოვს აუარებელ ხარჯს, რომლის ატანა არამც თუ დაავადმყოფებულს, არამედ კარგად მყოფსაც არ ძალუძს. ამ ჟამად იგი დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის, რაიც უფრო ართულებს და ამწვავებს მის ავადმყოფობას, დახმარება-კი არსაით უჩანს... საჭიროა დახმარება, რათა ჩვენს სცენას არ დაეკარგოს, ჯერ კიდევ ახალგაზდა, სასარგებლო მუშაკი.

ჩვენი ზნეობრივი ვალია, შეძლების-დაგვარად დავეხმაროთ. დაე, მისი პირდაპირი მოვალენი თუ გაგულქვავებულან, ჩვენ მაინც შევეწივნეთ...

ამასთანავე გიგზავნით მსახიობ ვ. მატარაძის გადასაცემად, ქართველ მოსწავლეთა შორის შეკრეფილს **ხუთ** მან.

ქართველ მოსწავლე ახალგაზდობის
დავალებით **გიორგი მალრაძე**

P. S. ვთხოვ ჩვენს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

გ. მ.

გოდება იერემიასი

მშვიდი, წყნარი ღამე იყო. ნათელი მთვარე დაჰკაშკაშებდა ასიერიელებისაგან აოხრებულს იერუსალიმს. იერუსალიმი, განთქმული თავისი სილამზით, ახლა ნანგრევთა ხროვას წარმოადგენდა. აქა-იქ თუ მოსჩანდა ობლად განადგურებას გადარჩენილი სახლი, მაგრამ ისიც ბეჩავად გამოიყურებოდა ამ ნანგრევთა შორის. ქალაქის კედლის ნანგრევებზედ, საიდანაც მოსჩანდა მთელი იერუსალიმი, იჯდა იერემია წინასწარმეტყველი და მწარედ სტიროდა.

მის გარშემო სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. ღამის მესაიდუმლე ბულბული თუ დაარღვევდა ამ სიჩუმეს, როდესაც, სხვისი უბედურების შემხვედვარე, ველარ იმაგრებდა აჩუყებულ გულს და თავის და უნებურად არა ნაკლებ გულსაკლავად ააწკრიალებდა ნაღვლიან ხმას. ან არა და, როდესაც თვით ბუნება ველარ უძლებდა თავისი შობილის—ადამიანის ტანჯვას, ერთს ნაღვლიანად ამოიხვნეშდა და იქვე მდგარ ბზას და ლელვნარსააშრიალებდა.

იერემიას მოაგონდა თავისი სამშობლოს წარსული დიდება. გაახსენდა ის დღე იელოვამ რომ მოუწოდა მას სამშობლოს სახსნელად, ის უძილო ღამეები და ტანჯვის დღენი ქალაქიდან ქალაქს, სოფლიდან სოფელს რომ დადიოდა და აფრთხილებდა ებრაელთ, რათა გადერჩინა საყვარელი სამშობლო განსაცდელისაგან. მან ბევრი აფრთხილა ებრაელნი, მაგრამ არ დაუჯერეს, არ უგდეს ყური და განრისხებულმა იელოვამ დასაჯა ისრაელი. მისი სამშობლო, ერთს დროში უძლეველი ურია-

სტანი, „ჩრდილოეთიდან“ მოსულმა მტერმა მთლად ააოხრა, ხალხი ტყვედ წაიყვანა, ქალები გააუპატიურა, თვით იეღოვას ტაძარიცკი შეჰბილწა. გული უწუხდა ყოველივე ეს რო მოაგონდებოდა და გულსაკლავად ქვითინებდა. არავინ იყო მისი მანუგეშებელი. მარტო ცივი, მიუდგომელი მთვარე და მოციმციმე ვარსკვლავნი მხიარულად დაჰკაშკაშებდენ, თითქოს ეუცხოვებოდათ ადამის ძის ასეთი ტანჯვა. იერემიამ იგრძნო მთვარის და ვარსკვლავთა განცვიფრება და მიჰმართა მათ, რომ ეგრძნობინებინა თავისი გულის დარდი. ისინი მიჰხვდებოდენ მის გულის თქმას, რადგან ისინი იყვნენ მოწმენი ურიასტანის წარსულ დიდებისა.

„შეხედეთ, მოსთქვამდა იერემია, ვითარ დაჯდა მარტოდ ქალაქი გამრავლებული ერითა, იქმნა ვითარცა ქვრივი. მმთავრობა სოფლებსა შორის იქმნა მოხარკე, ყოველნი ბჭენი მისნი უჩინო ქმნულან და მტერნი მისნი მეფობენ. წარვიდა ასულისაგან სიონისა შვენიერება მისი. ყოველთა მადიდებელთა ისრაელთა უპატივო ჰყვეს იგი, რამეთუ იხილეს უშვერება მისი და თვით იგიცა სულთ ითქმიდავე და უკუნ იქცა მართლ უკუნ, დაეცა იგი საკვირლად. ამას ზედ მე ვტირ, თვალმან ჩემმან დამოადინა წყალი“.

მერე მუხლ—მოდრეკილმა ყოვლად შემძლე იეღოვას შეჰღაღადა: „მოიხსენე, უფალო, რაი გვეყო ჩვენ: სამკვიდრებელი ჩვენი გადაიქცა სხვათად, სახლნი ჩვენნი უცხოთად. ობოლ ვიქმენით, ვითარცა არმქონელნი მამისა, დედანი ჩვენნი ვითარცა ქვრივნი. მონანი გვეუფლნენ ჩვენ დახსნა არა არს ხელისაგან მათისა, დედანი სიონსა შინა დაამდაბლეს და ქალწულნი ქალაქთა შორის გახრწნეს, რჩეულნი წისქვილთა შინა ფქვიდეს და ჭაბუკნი ჯვარს აცვეს. დაირღვა სიხარული გულისა ჩვენისა, გარდაიქცა გლოვად მწყობრი ჩვენი. ხოლო შენ, უფალო, რაისთვის ძლევად დაგვივიწყენ ჩვენ? მოგვაქციენ ჩვენ შენდა მიმართ უფალო და მოვიქცეთ და განაახლენ დღენი ჩვენნი ვითარცა წინასწარ. გვეყო რისხვა შენი, იეღოვა! რამეთუ გაჰრისხენ ჩვენზედა ვიდრე ფრიად?!“

გაათავა იერემიამ ვედრება და სასოებით თვალები ცას მიაპყრო, თითქოს ელოდდა პასუხს. მაგრამ გარშემო წინანდებური სიჩუმე სუფევდა და მოკაშკაშე მთვარეც და ვარსკვლავნიც ისევ ისე მხიარულად დაჰყურებდნენ იერემიას...

ლევ. გარსიაშვილი

ქართული სახალხო თეატრის ისტორია

(დასაწყისი იხ. „თ. და ც.“ № 10)

ჯერ კიდევ 1881 წელს შესდგა სცენის მოყვარეთა წრე შაქრო საფაროვის თაოსნობით. ამ წრემ განიზრახა კერძო სახლებში წარმოდგენების მართვა და რამდენიმე წარმოდგენაც გაამართა, რასაც აუარიბელი ხალხი დაესწრო.

წარმოდგენები იმართებოდა შემდეგ ადგილებში: აბასაბათის მოედანზე წოვიანოვის სახლში, შანშიაშვილების სახლში, კოლორთაღში, ეგზარხოსის მოედანზე ზახარბეკოვის სახლში, ორბელიანის ქუჩაზე ზურაბიშვილის სახლში, მთაწმინდაში, კვირაცხოვლის ქუჩაზე ეპიტაშვილის სახლში, ოქრომჭედლების ქუჩაზე ყარაშვილის სახლში, პეტრე უმიკაშვილის სახლში, ანჩხატის პირდაპირ ჩომახოვის სახლში და სხ.

ვ. მ. გამყრელიძე

ზ. მ. საფაროვი

სცენის მოყვარეთა წრე შემდეგ პირთაგანა შესდგებოდა: ქ-ნნი ბაგატელოვის ქალნი — ორივე დანი, მაშო ჯაჯანაშვილი; ბ-ნი შაქრო საფაროვი, გიგო გელიკურაშვილი, სანდრო თამაზიშვილი, სანდრო გოცირიძე, ძმები შანშიაშვილები, ძმ. ბროძელი, წოვიანოვი, გიგო სულხანოვი, ყარაევი, მუხრანსკი, ჩომახოვი (ქალების როლს თამაშობდა, ახლა მღვდლად არის), კოლა გალუსტოვი, ილიკო წითლიევი, გულაშვილი, ეპიტაშვილი, იაგორა ანდრიანოვი, მაღა-

ლაშვილი, თავადი ბესო ფავლენიშვილი და სხ.

სცენის მოყვარეთა ეს წრე დრო-გამოშვებით მართავდა შინაურ წარმოდგენებს და ბოლოს დაიშალა: ზოგი ქართულ თეატრში შევიდა, ზოგმა სულ თავი დაანება და ამით შესწყდა ამ ხანებში წარმოდგენების მართვა.

1884 წ. ისევე განახლდა კერძო სახლებში წარმოდგენების მართვა. იმართებოდა ავჭალის ქუჩაზე, გარაბაცოვის სახლში, დათიკო აწყურელის თაოსნობით, სადაც მონაწილეობდნენ: ქ-ნი ბუთხუზი (ნინო გამყრელიძისა), ბ-ნი ა. ადამიძე, გიგო გელიკურაშვილი, ვიკტორ გამყრელიძე.

ამავე დროს ადამ ადამიძეს თაოსნობით გაიმართა ჩუღურეთში, ბაჯიაშვილის და ადამიძის სახლში, 5 წარმოდგენა შაქრო საფაროვის, ვანო მჭედლიშვილისა და დარო რჩეულოვის მონაწილეობით. ამავე ადამიძის თაოსნობით კუკიაში გაბიტოვის სახლებში გაიმართა რამდენიმე წარმოდგენა; დაიდგა: „არსენა“, „მათიკო“, „ბაიყუში“, „ცოლი ვიტირო თუ ფული“, „უმანკო პატარძალი“, „ცოლქმრობის წინააღმდეგი“, „ადვოკატი მელაძე“ და სხ.

ამ გამართულ წარმოდგენების შემდეგ ეს წრეც დაიშალა.

გ. ჯაბაური

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამზადისი

(წერილი ქუთაისიდან)

—

მომავალ სეზონისათვის ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობა უკვე სამზადისს შეუდგა, როგორც წინადაც აღვნიშნე (იხ. „თ. და ც.“ № 2), ერთი წლის განმავლობაში ქუთაისი, ეს ქართველებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქი, ქართულ წარმოდგენებს მოკლებული იყო და ეს მაშინ, როდესაც ქართული წარმოდგენების საქმე იმავე წლის მიმდინარეობაში გაჩაღებული იყო ლანჩხუთსა, სოხუმსა, ოზურგეთსა და, ქუთაისთან შედარებით, ძალზე მცირე რიცხოვან ქართველებით დასახლებულ ბათუმსა და ბაქოში.

ამ ჟამად წამხდარი საქმის გამოგვარებას შეუდგნენ ჩვენი თეატრის მესვეურნი. ქუთაისის დრამ. საზ-ის გამგეობას განზრახვა აქვს ქუთაისისათვის დასი შეადგინოს საუკეთესო ქართველ მსახიობთაგან და მის ხელმძღვანელად გამოცდილი, ნიჭიერი და ცნობილი რეჟისორი მოიწვიოს. განზრახვის სასრულეში მოსაყვანად გამგეობა ამთავითვე შეუდგა თბ. დრამ. საზ-ის გამგეობას და სხვადასხვა ქართველ მსახიობებთან მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას.—გამგეობის სიფხიზლე და მუყაითობა გვჯერა ნაყოფს გამოიღებს და მომავალ სეზონისათვის ქუთაისს ისევ ექნება ქართული წარმოდგენები, მარა კითხვა შემდეგშია: როგორ დააფასებს გამგეობის შრომას ჩვენი მცონარე ინტელიგენცია?—ჩვეულებრივ ძველებურ დაუდევრობას გამოიჩენს, თავის მაღალ ყურადღებას ქართულ წარმოდგენებს მოაკლებს — „მომპლეზირს“ და კლუბში მაუდიან მაგიდებთან ჯდომას ირჩევს, თუ ბეჯითი ყურადღებით მოეპყრობა სამშობლო სცენას, ქართულ წარმოდგენებზე ივლის და მით დიად ეროვნულ საქმეს ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენს?!.—აღდგომა და ხვალეო!—მომავალი სეზონი გვიჩვენებს გასული წლის შერცხვენამ მცონარე და გულგრილობით მოცულ ინტელიგენციას ასწავლა რამე თუ არა?!

ილია ბახტაძე

თეატრის საჭიროება თელავში

—

ამ ბოლო დროს, არა თუ პროვინციის ქალაქებმა, არამედ სოფელ-დაბებმაც-კი ბევრით გაუსწრეს თელავს. სულ მიყრუებულ ადგილებში, სადაც ინტელიგენტთა რიცხვი თითებზე ჩამოითვლება, საკუთარი თეატრი მოუპოვებათ, რითაც ხელი ეწყობა წარმოდგენების და სხვა გასართობ საღამოების მართვას.

თელავში-კი ამის მაგვარი არაფერი მოიპოვება და თუ საზოგადო საკრებულოს ერთად-ერთი დარბაზი არა, წარმოდგენების გამართვა შეუძლებელი იქნებოდა თელავში. ამ საკრებულოს დარბაზში სცენა-კი გამართულია, მაგრამ ხელის შემშლელი პირობები ბევრი ეღობება წინ. ჯერ ერთი საჭირო დეკორაციები არაა, მთელი პიესა ხშირად ერთსა და იმავე ოთახში მიმდინარეობს და მისი შეცვლა მხოლოთ დეკორაციების კედლების მობრუნებაში გამოი-

ხატება. სცენის მოწყობაზე ფიქრიც მეტია და ეს არც მოეთხოვებათ. მაგრამ სხვა, ხელის შემშლელი, პირობები ბევრია, მაგ. რეპეტიციებისთვის დღეები და დრო განსაზღვრულია და მხოლოდ რამდენიმე დღეს აძლევენ იქ შეკრების ნებას. თუმცა, უნდა დაუმატო, არც ისე საკვირველია,—საკრებულოს წევრები ამბობენ: დარბაზი ჩვენ გვინდა და თუ საჭიროებაა, ცალკე თეატრი ააშენეთო, თითქოს ამის მთქმელნი თელავის საზოგადოების წევრებს არ შეადგენდენ...

ამ გარემოებას კიდევ შეურიგდებიან და ურიგდებიან-კიდეც, მაგრამ აქ სახალხო წარმოდგენების გამართვა შეუძლებელია და ამისათვის ამას არც ადგილი აქვს თელავის ცხოვრებაში, რაიც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ თელავი წინსვლის მაგიერ უკან იხევს. ამ 10—15 წლის წინედ თუ მუდმივ არა, დროგამოშვებით მაინც იმართებოდა სახალხო წარმოდგენები და მშრომელ, ქალაქის მდაბიო მუშა ხალხს შეძლება ეძლეოდა წარმოდგენების ნახვისა. მაშინ სომეხთა საქვ-მოქმ. საზ. თელავის განყოფილებას აქ თეატრი ჰქონდა მოწყობილი, სადაც ასეთი წარმოდგენები იმართებოდა, შემდეგ-კი თეატრი გააუქმეს და სახალხო წარმოდგენების მართვაც მოისპო.

დიაღ, სახალხო წარმოდგენების გამართვისათვის უმთავრესად საჭიროა შენობა და ეს უკანასკნელი რომ არ მოგვეპოვება, სახალხო წარმოდგენების გამართვაც შეუძლებელი ხდება.

რასაკვირველია, ქალაქის თვითმმართველობის მოვალეობას შეადგენს იზრუნოს თვის მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის და მათ გონების საზრდოს მიცემა-განვითარებას ხელი შეუწყოს, მაგრამ იქნება მკითხველს მოეხსენებოდეს კიდეც, რომ ჩვენი ქალაქის მამები მარტოდ მარტო ეროვნულ განხეთქილებაში იჩენენ უნარს. ან-კი რა ზრუნვა მოეთხოვება იმ ქალაქს, რომელიც 20—30 მან. არ იმეტებს საკვირაო სკოლისთვის, ურომლისოდაც იგი იკეტება.

დიაღ, სახალხო წარმოდგენების გამართვას უმთავრესად ხელს უშლის თეატრის უქონლობა. შეიძლება ამაზე მიპასუხონ საქმე ხელოვნების ძალაა ე. ი. სცენის მოყვარეები არიანო. ეს ძალა თელავში არის და შესაძლებელია მისი ამოქმედება-გაძლიერება, მაგრამ ამაზე შემდეგ.

დავიწყებული

წვრილი ამბები

საქართველოში

✦ **ქართული თეატრის რეჟისორებს**, მ. ქორელსა და ალ. წუწუნავას, განუზრახავთ მომავალ სეზონში დასდგან ქართველ მწერალთა (ალ. ყაზბეგის და დ. კლდიაშვილის) ნაწარმოებთა ინსცენიროვკა.

✦ **ახლად მოწვეული რეჟისორნი** მ. ქორელი და ალ. წუწუნავა უკვე შეუდგნენ მომავალი სეზონისთვის მზადებას, ძირითადი რეპერტუარი შეიმუშვეს და რამდენიმე პიესის მთავარი როლები გაანაწილეს.

✦ **ქართულ თეატრში** ახალი პიესების ი. ვედევანიშვილის მეორე ნაწილი ,,სინათლის'' და შ. შარაშიძის ,,ავგაროზის'' ესკიზები მუშავდება.

✦ **მომავალ სეზონში**, სხვათა შორის, დაიდგმის: ი. გედევანიშვილის ,,სინათლე''-ს გაგრძელება (მეორე ნაწილი), შალვა შარაშიძის ახალი ორიგინალური პიესა-ზღაპარი „ავგაროზი'' ალ. შანშიაშვილის ,,ივერიკო'' და „მეფე-მგოსანი'', უცხო მწერალთა: დ'ანუნციოს—,,ჯიოკონდა'', პშიბიშევსკის—,,თოვლი'', და ,,საუკუნო ზღაპარი ', იბსენის—,,ნორა'' და ,,ექიმი შტოკმანი'', მ. გორკის -- ,,უკანასკნელნი''.

✦ **თბილ. ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობამ** მომავალ სეზონისათვის წინად გამოცხადებულთა გარდა მოიწვია ქუთაური მსახიობი პლ. კორიშელი, ქ-ნი ს. ბეჟანიშვილი, სახალხო სცენის მოყვარე ბ-ნი ქიაურელი.

✦ **ქართ. სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე** დასასწრებლად მოსაწვევი ბარათები უკვე დაუგზავნა ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობამ დრამატ. საზოგადოებათა წრეებს, სცენის მოყვარეთა ჯგუფებს და სხვა კულტურულ დაწესებულებათ. კერძო პირთ მოსაწვევი ბარათები არ გაეგზავნებათ.

✦ **მსახიობთა სიაში** (იხ. ,,თ. და ც.'' № 9) გამორჩენილია: ქ-ნი ან. ჩირგაძე, ი. აპტალიდი, ბ. ბერიშვილი, ს. ხურციძე.

რუსთა შორის

✦ **მოსკოვის პატარა თეატრზე** მიშენებულ დეკორაციათა საწყობს, სამანქანო განყოფილებასა დ- მოსამსახურეთა ბინებს 2 მაისს დილით ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა ბალეტისა და სარეპერტუარო ოპერეტეკის ყველა დეკორაციები.

ფოსტა

ბაქო. ს-ს. დაიბეჭდება. გამოგვიგზავნეთ „დრამ. საზ-ის დაარსების" შესახებ წერილი.

ბრიუსელი (ბელგია). **დ. კ-ს.** ავტორის ნებართვა „სინათლის" ფრანგულად გადათარგმნის შესახებ უკვე გამოგეგზავნათ. გეგზავნებათ მოთხოვნილი პიესებიც. შეპირებულ წერილს ველით.

ლუგანო (შვეიცარია). **გ. ჯ**—ს. მივიღეთ. დაიბეჭდება. საჭიროა შესაფერი სურათები.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებ-რივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი

იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით.

ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დახასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარეთ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად—5 მ, (წლის დამლევამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ.. თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელისმოწერა მიიღება: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპანის“ სტამბაში) დილით 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифлисъ, ред. жур. „**Театри да Цховреба**“ Іосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15·41

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.

წელიწადი მეოთხე **თემი** წელიწადი მეოთხე

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გამოდის ორშაბათობით

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ **2** საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება **აკაკის** პოემა ,,**რაჭა-ლეჩხუმი**'', რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) **ნ. ა. დუბროვსკის** თხზულებას ,,**ავგუსტ ბებელი**'', რომელიც საკუთრად ,,თემი''-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება ,,თემი''-ს რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძისა, № 4).

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

მისამართის გამოცვლა თბილისს გარეშე 40 კ.

მისამართი: Тифлисъ, Ольгинская № 4, д. Діасамидзе, редакція газ. „**Теми**“.

რედ.-გამომცემელი **გრ. დიასამიძე**

იმერეთი **ყოველდღიური საპოლიტ-სალიტ გაზეთი**

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით

წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბაზი, ცალკე ნომერი—5 კ.

საზღვარ გარედ წლიურად—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.

მისამართი: Кутаисъ, ред. газ. „**Имеретн**“.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჰელიძე**

გამოდის ქუთაისში 3 მარტიდან ორშაბათობით

შრომა

სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред, еженед. груз. газеты „**Шрома**“.

Типографія „Гермесъ“ სტამბა „ჰერმესი“

მიიღება დასაბეჭდად განცხადებანი

ექიმი ა. ლ. იაშვილი
(თბილისის საქალაქო 1-ლ ნაწილის მკურნალი)
შინაგან ავადმყოფობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
წყნეთის ქ., № 19.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
(ორდინატორი თბილ. სარკინის გზო საავადმყოფოსი)
კანის, ვენერიული და ათაშანგისა
შუადღით 1—2½ ს., საღამოთ 6—8 ს
მოსკოვის ქ. № 4.

ექიმი ივ. გ. გომართელი
შინაგან ავადმყოფობათა
დილის 8—12 ს.,
საღამოთი 5—7 ს.,
ოლგას ქ., № 20,
ტელეფონი № 6—33.

კბილის ექიმი
ექიმი ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს
დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
გოლოვინის პრ., № 12

ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.
ვარდის უბნის ქ. № 9.

ექიმი გ. გ. მაღალაშვილი
შინაგან ავადმყოფობათა
დილით 8—10 ს.
ოლგას ქ. № 39.

ექიმი ნ. ი. თიკანაძე
(თბილისის საქალაქო მკურნალი)
შინაგან სნეულებთა
დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს.
კიროჩნი ქ. № 18.

ხელოვნურად — **სამკურნალო და** — **შეზავებული** — **ხილეულობის წყალი**

მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან. წმინდა შაქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისთვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.

(10—10)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ.
საღამოთი 6—7 ს.
მიხეილის პროსპ. № 117 ტელეფ. 8—16

ექიმი გ. ფ. ნათიშვილი
კანისა, ვენერიული და სიფილისისა
დილით 11½—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

Воспоминанія
и
ХАРАКТЕРИСТИКИ
Г. М. ТУМАНОВА
Въ 3-хъ вып. Цѣна кажд. вып. 75 к.
Складъ у автора, Барятинская № 6.
(5—4)

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე

ქალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლამბაშიძე
ვარდისუბნის ქუჩ. № 9

(წ.)